





 მათემატიკა	 ბუნებისმეტყველება	 ტექნოლოგიები	 ინჟინერია	 ხელოვნება	 სპორტი	 ლიტერატურა
X				X		

### საბავშვო ბალის ეზოს მონაცობა

<p><b>მიმართულება :</b> გეომეტრია <b>სასწავლო თემა:</b> ბრტყელი და სივრცული ფიგურები. კოორდინატები</p>	<p><b>სამიზნე ცნება:</b> გეომეტრიული ობიექტები, ორიენტირება სივრცეში, კოორდინატები და მათი გამოყენება.</p>	<p><b>მაკრო ცნება</b> მოდელირება</p>	<p>კლასი: 5 დრო 2-3 კვირა</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ წრე და მისი ნაწილები.</li> <li>➤ საკოორდინატო ბადე</li> </ul>	<p><b>საკვანძო კითხვა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ შეიძლება გეომეტრიული ფიგურების თვისებების ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორაა შესაძლებელი სივრცეში ორიენტირება რაიმე ობიექტის ადგილმდებარეობის ზუსტად განსასაზღვრად?</li> </ul>		
<p><b>პროექტი:</b> „საბავშვო ბალის ეზოს მონაცობა, პირობითი ნიშნებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით“</p>			
<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b> მათ.დანყ (II) .5,8,14</p> <p><b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი</b> პრობლემის გადაჭრა; გუნდური მუშაობა</p>			




დავალების  
პირობა:

„საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა, პირობითი ნიშნებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით“

**კომპლექსური დავალების პირობა:**

საბავშვო ბაღის ადმინისტრაციამ გადანაცვლა ეზოს კეთილმოწყობა და ბაღის აღსაზრდელთათვის გასართობი კუთხის მოწყობა. წარმოდგინე რომ ბაღის ადმინისტრაციამ გთხოვა დახმარება დაგეგმარებაში. **(დაგეგმარებაში გამოიყენეთ წრენირი/წრე და მისი ნაწილები)** გაითვალისწინეთ შემდეგი პირობები:

- ნაკვეთს აქვს მართკუთხედის ფორმა.
- ნაკვეთის ცენტში დგას ხე.
- გასართობ ატრაქციონებს აქვთ წრენირის ფორმა თუმცა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რადიუსებით.
- მბრუნავი საქანელა უნდა მდებარეობდეს ხისგან დასავლეთით 10 ბიჯით .მისი რადიუსია 50 სმ.
- სასრიალო რომლის დიამეტრია 2 მ მდებარეობს ხისგან ჩრდილოეთით ბიჯით 8.
- ხისგან სამხრეთით უნდა იყოს მრგვალი ყვავილნარი- დიამეტრით 1მ, მის მის ნახევარზე გვირილებია, ხოლო მეორე ნახევარზე იები.
- ხისგან აღმოსავლეთით 11 ბიჯის შემდგომ კიდევ ერთი მბრუნავი საქანელა(რადიუსი) 60 სმ ) უნდა მდებარეობდეს , მასზე უნდა განთავსდეს სამი სკამი და ისინი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული ხის ძელებით, რომ საქანელა იყოს მყარი.
- ნაშრომი წარმოადგინეთ მაკეტის ან ნახაზის სახით, სადაც რეალურ 1მ-ს შეესაბამება 10სმ და 1 ბიჯი -1 უჯრას.
- რაში შეიძლება გამოგადგეთ მიღებული გამოცდილება მომავალში?





**დავალება ნაწილი 2 სურვილისამებრ შესასრულებელი**


ეზოს კეთილმონწყობის შემდეგ, ბავშვებმა მოითხოვეს ბაღში ყოფილიყო „ეშმაკის ბორბალი“, ნამდვილი ეშმაკის ბორბლის დამზადებამდე გააკეთეთ მაკეტი და თხოვეთ ადმინისტრაციას დაამზადოს თქვენს მიერ მომზადებული მაკეტის მსგავსი ( მოანყვეთ კონკურსი კლასში, საუკეთესო მაკეტის დამზადებასთან)

**ვიდეო ინსტრუქცია**

ვიდეო ინსტრუქციის მიხედვით დაამზადეთ ეშმაკის ბორბლის მსგავსი მაკეტი ( არ არის აუცილებელი ელემენტზე ამუშაოთ).

მაკეტის დამზადების შემდეგ დააორგანიზეთ შასუხი და აღწერეთ:

- როგორ დაგეგმეთ სამუშაოები
- აღწერეთ, რა ნაბიჯები გადადგიტ ეშმაკის ბორბლის დასამზადებლად?
- რისი ფორმა აქვს ეშმაკის ბორბალს? რატომ ეძახიან ბორბალს? რა ეწოდება ცნეტრის და სკამის შემაერთებელს?
- როგორ არის შესაძლებელი გამოთვალეთ რა მანძილს (რამდენ სანტიმეტრს) გადის ჩაჭდომიდან გადმოსვლამდე აღამიანი?



რეკომენდაციები მასწავლებელს

სასურველია თუ მოსწავლეები დაამზადებენ სხვადასხვა წესით, შემდეგ იქნება პატარა ფორუმი/გამოფენა კლასში, სადაც ყველა წარადგენს თავის ნამუშევარს

აღნიშნული აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ მოსწავლემ გაიაზროს როგორ უნდა მოახდინოს ორიენტირება საკოორდინატო ბადის გამოყენება და ორიენტირება



**შეფასება**

<p><b>მეთოდები/ სტრატეგიები ცოდნის შესაფასებლად</b></p>	<p>პროცესში შეფასება შეიძლება მოხდეს SOLO ტაქსონომიის მიხედვით, რაც გულისხმობს Structure of learning outcomes ; ასევე მასწავლებელს შეუძლია შეიმუშავოს შეფასების რუბრიკა;</p> <p>შეფასების სახეები/ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი</p> <p>შეფასების ინსტრუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვიზი</li> <li>• სადიაგნოსტიკო ტესტი</li> <li>• დიაგრამით, ცხრილით ნასწავლის დემონსტრირება</li> <li>• რამდენიმე სიტყვით შეაჯამე რა იყო ძირითადი იდეა</li> <li>• 1 წუთიანი შეჯამება - სიტყვიერი ან წერილობითი</li> <li>• დისკუსია, განხილვა წყვილებში</li> <li>• მოსწავლის თვითშეფასება</li> <li>• მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება</li> <li>• სასწავლო თემის შემაჯამებელი ტესტი</li> <li>• ...</li> </ul>
<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b></p>	<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b> მათ.დანყ (II) .5,8,14</p> <p>მათ.დანყ (II) .5 ბრტყელი და სივრცული გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და გამოსახვა, ფიგურებს შორის და ფიგურის ელემენტებს შორის მიმართებების დადგენა.</p> <p>მათ.დანყ (II) .8 ორიენტირება ბადით დაფარულ არეზე.</p> <p>მათ.დანყ (II) .14 მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემების გადაჭრა გამოთვლების, ვარიანტების დათვლის და ობიექტებსა და მათ თვისებებს შორის. მიმართებების გამოყენებით.</p> <p><b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი</b> პრობლემის გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება</p>
<p><b>შეფასება</b></p>	<p><b>მოსწავლეს შეუძლია:</b></p>



- მოცემული ადგილმდებარეობის გეგმების და მარტივი სქემების საშუალებით სიბრტყეზე ორიენტირება;
- ადგილმდებარეობის დასადგენად სანყისი საორიენტაციო ობიექტის განსაზღვრა, რომლის მიმართაც განისაზღვრება/დგინდება სხვა ობიექტის მდებარეობა.
- იმსჯელოს იმის შესახებ, რომ გეომეტრიული ფიგურებისა და მათი ურთიერთგანლაგების სქემების, მოდელების საშუალებით, როგორ ხდება სივრცეში ორიენტირება.